მრომისა და მშვიდობის დღესასწაული

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 მაისი საშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 104 (15317)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მთელმა ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნეს პირველი მაისის დიადი დღესასწაული.

საბჭოთა ხალხებმა ამ დღეს გამოავლინეს თავიანთი მისწრაფება წარმატებით შეასრულონ ლენინური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ახალ-ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს!

მოსკოვი. წითელი მოედანი. 1972 წლის 1 მაისი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ხაკდანი (მილგბულა საკინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ლენინიზმის დროშით

საპირველმაისო მიტინგი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ნათელი, სასიხარულო დღესასწაული მოვიდა საბჭოთა მიწაზე — პირველი მაისის დღესასწაული. და ლაჟვარდოვან ცაში აფრიალდა წითელი დროშები, რომლებიც ხოტბას ასხამენ შრომასა და გაზაფხულს, ადიდებენ ხალხთა მეგობრობას. პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი დღეს ყურს უგდებს კრემლის კურანტების საზეიმო ყიჟინას. აქ, წითელ მოედანზე, საბჭოების ქვეყანა სალუტს აძლევს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

მშვენიერია ჩვენი ქვეყნის მთავარი მოედანი სადა თუ სადღესასწაულო დღეებში. დღეს იგი სადად, მაგრამ მრავალფერადად არის მორთული. მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტებიანი დიდი წითელი ალამი ამშვენებს ხალხმწიფო უნივერმაღის ფასადს. მის ორივე მხარეზე კი პანიერია, რომლებიც განასახიერებენ დედამიწის მშრომელთა ერთიანობას, საბჭოთა ხალხის წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

1972 წლის პირველ მაისს განსაკუთრებული ნიშნები აქვს, და ისინი მკაფიოდ ასახულია მოედნის სადღესასწაულო მორთულობაში. ისტორიული მუზეუმის ფასადის კომპოზიციის ცენტრში მოჩანს საბჭოთა მუშის ფიგურა ჩვენი ქვეყნის ეკრანიანი ალისფერი დროშის ფონზე. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში 50-ე წლისთავზე წელი დადგა. და თითქოს გაზაფხულით ფრთაშესხმულმა პირველმა მაისმა სამშობლოს ყველა კუთხიდან წითელ მოედანზე მოატანა კარგი ამბები ძმობისა და მეგობრობის ურყევი კავშირით შედუღაბებულ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა შრომითი გამარჯვებების შესახებ.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადება მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის იდეათა და გადაწყვეტილებათა ნაყოფიერი შემოქმედებით. დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომლითაც მშრომელები ასრულებენ ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ გეგმებს, კვლავ ცხადყოფს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ შეკავშირებას, დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას.

გაზაფხულის ნიავი არხევს ქვეყნის სახელმწიფო ალამსა და 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკის ალმებს. წითელ მოედანზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა მოწინავენი, სამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. მაღლა უჭირავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. ფრიალებენ წითელი ალმები, ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებზეც წარწერილია, გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვები: „ლენინის პარტიას — დიდება!“, „დიდება დიდ საბჭოთა ხალხს!“, „განხორციელოთ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი!“, „მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი დროშაა!“, „ვიწონებთ პარტიის პოლიტიკას!“, „წინ ლენინური გზით!“, წითელი დროშებით გარემოსილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები.

საპატიო სტუმართა ტრიბუნებზე არიან მრომის გმირები, მოსკოვის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების საუკეთესო ადამიანები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, გმირი კოსმონავტები. აქ არიან აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი. პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად დედაქალაქში ჩამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, 70-ზე მეტი სახელმწიფოს პროფკავშირული და მუშათა ორგანიზაციების წარმოგზავნილნი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის თვალსაჩინო მებრძოლნი.

მოედანს მძლავრ ტალღად გადაუარა მქუხარე ტაშმა, მრავალხმოვანმა „ვაშამ“. გაისმის შეძახილები „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება, დიდება, დიდება!“. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მხურვალედ და გულითადად მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პონომარევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. პირელენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ჯ. ტ. მაზუროვი, ა. ი. კელშ, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი. მათთან ერთად ტრიბუნაზე არიან ცნობილი საბჭოთა მხედართმთავრები.

გაისმის საბჭოების ქვეყნის მოხმობის ნიშნები. მაცხოვრის კოშკის კურანტები რეკავენ მოსკოვის დროს — ათი საათია. წითელ მოედანზე იწყება პირველი მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი.

სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან.

ნიკოლაი ვასილიევიჩ პოდგორნი — „ვაშა“!

ამხანაგებო!

როცა პირველ მაისს აღვნიშნავთ, ვხედავთ, თუ რაოდენ აქტიურად და თანამიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური კურსი, ყრილობაზე დასახული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამამ უფართოესი აღიარება და მხარდაჭერა მოიპოვა ყველა კონტინენტზე. ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანს ეს პროგრამა მიაჩნია თავისი იმედებისა და მისწრაფებების გამოხატულებად.

ყრილობის შემდეგ გაშლილი მშვიდობიანი შეტევის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციები და ამაღლდა მათი ავტორიტეტი, აქტიურდებიან იმპერიალისტური ბანაგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის მებრძოლი ძალები. რეაქციის ხრიკების მიუხედავად არსებითად იცვლება პოლიტიკური კლიმატი ევროპის კონტინენტზე, იქმნება რეალური წანამძღვრები, რომ ევროპა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის რაიონად.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ყოველნაირად იღვწის დაძაბულობის შენელებისათვის, მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის, შედგა გამოდის პრინციპული პოზიციებიდან, მტკიცედ იცავს მსოფლიო სოციალისტის ინტერესებს, ყველა ჩვენი მეგობრობისა და მოკავშირის ინტერესებს, იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც სამართლიან ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ეწევიან.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველი პირველი მაისის დღესასწაული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის

(დასასრული 30-ე გვერდზე).

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მოსკოველებო!

პატივცემულო ხაზღვარგარეთელო სტუმრებო!

დღეს ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, შრომისა და მშვიდობის გაზაფხულის დღესასწაულს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად ვულოცავ პირველ მაისს ჩვენი დედაქალაქის მშრომელებს, საბჭოთის ყველა მოქალაქეს, ჩვენს მეგობრებსა და თანამებრძოლებს მთელ მსოფლიოში. (მეუსარე, ხანგრძლივი ტაში).

პირველი მაისი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დღესასწაულია. გასული საუკუნის დამლევის პირველი შეკრებებიდან და არალეგალური მაისობებიდან ახლანდელ მძლავრ საპირველმაისო მანიფესტაციებამდე თვალსაჩინოა მოჩანს საერთაშორისო მუშათა კლასის მრავალი თაობის სახახელო ხალხმრავალი ტრადიციების მემკვიდრეობითობა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება — ბოლო მოუღოს ექსპლოატაციასა და სოციალურ უსამართლობას, ააშენოს განთავისუფლებული შრომის სამაყარო.

მშრომელთა სანუკვარი ოცნება, მათი მისწრაფება უკეთესი მომავლისადმი ახლა ხორციელდება. თავიანთი ისტორიული მიღწევებისათვის სიამაყის გრძნობით ეგებებიან პირველ მაისს საბჭოთა კავშირისა და მომავ სოციალისტური ქვეყნების ხალხები. სოციალიზმის დიად მონაპოვრებად ხორცშესხმული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ხალხთა უფართოესი მასების გულსა და გონებას ეუფლება.

ამ დღეს საბჭოთა ადამიანები გულმხურვალედ უსურვებენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების შენებლობაში. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტ-ური ინტერნაციონალიზმის ფესვები, ამ ფესვებიდან ამოიზარდოს ახალი ადამიანი — ინტერნაციონალისტ-ებრძოლი, ინტერნაციონალისტ-ებრძოლი, ინტერნაციონალისტ-ებრძოლი!

ლენინიზმის დროშით

(დასასრული).

მებრძოლთა არმიის საბრძოლო დათვალიერებაა. დღეს აქ, დიდი ლენინის მაგზოლეუმთან, ჩვენ ძველ საქეეყნად ვაცხადებთ: საბჭოთა კავშირი კვლავაც მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეების ძლევამოსილ დროშას, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის დროშას! (მუსიკა ეროვნული ჰიმნი).

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს! (ხანგრძლივი ტაში. შეძახილები — ვაშა!).

დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს! (ხანგრძლივი ტაში, შეძახილები — ვაშა!").

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასისა და უველა მშრომელის ნაცად ავანგარდს, საბჭოთა ხალხის ბელადსა და ორგანიზატორს კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

(ერთად მოედანზე ძახს ხანგრძლივი ტაში. მიტინგის მონაწილენი დღეგრძელობას უსურვებენ ხალინის კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. გუგუნებს „ვაშას!" შეძახილები. მოედანზე ძველის პროლეტარული ინტერნაციონალის „ინტერნაციონალის" საზეიმო მელოდია).

* * *

მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მშრომელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა. საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური, ცენტრალური ტელევიზია, „ინტერვიზიისა" და „ეროვნიის" სისტემები გადასცემდნენ საზეიმო მიტინგს.

მოედანზე კვლავ გაისმა ათასსმოვანი „ვაშა", შეძახილები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

— ხალხი და პარტია ერთიანი არიან!

— სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება, დიდება, დიდება!

— კომუნიზმი გაიმარჯვებს!

სიმღერით „ჩვენ — კომუნისტები ვართ" მიტინგის ათასობით მონაწილემ ჩაუარა ვ. ი. ლენინის მაგზოლეუმს.

და აი უკვე სხვა კოლონები მოდიან სახელმწიფო ფიგურმაღლისა და ისტორიული მუზეუმის მხრიდან. მოედნის ცენტრში შეკრებილი დღესასწაულის მონაწილენი ქმნიან გიგანტურ ასოებს „სკკპ".

გაისმის შეძახილები მშობლიური კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა ხალხს მიუძღვის ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

და თითქოს აქ, ქვეყნის მთავარ მოედანზე, თვალნათლივ მოჩანს ჩვენი მიღწევები და გამარჯვებანი. მოედანზე შემოდიან მშრომელთა დემონსტრაციის მეზობლები. ლამაზად გაფორმებული პანიერები, მაკეტები, ტრანსპარანტები გვაუწყებენ ჩვენი აღმშენებლობითი დღეების გაქანებას, პარტიისა და ხალხის ერთიანობას, გვაუწყებენ, რომ მშრომელნი მზად არიან პირნათლად შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის გეგმები.

მეწინავე მანქანაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის პორტრეტი. მოდიან მანქანები, რომლებზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების პორტრეტებია. ტრანსპარანტებზე, ლოზუნგებზე წარწერილი სიტყვები იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხაზინაო და საგარეო პოლიტიკას, მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განუხრელად იაროს პარტიის მიერ დასახული გზით.

მოედანზე მძლავრად გაისმის შეძახილები ლენინური პარტიის, შემოქმედი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, როგორ მოედანზე გამოიარა მანქანამ, რომლის გაფორმება სკკპ ისტორიულ XXIV ყრილობას ეძღვნება. პანო ასახავს ყრილობის სამუშაო მოსმენტს: ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც კითხულობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას. „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია", — წარწერილია ტრანსპარანტზე".

მოდის მანქანა, რომელზეც ალმებით გარემოსილი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო გერბია. წითელად წარწერილია ლოზუნგი: „ხალხთა მეგობრობა დიადი ძალაა, ხალხთა მეგობრობა პარტიამ გამოეიდა". დიახ, ერთა ერთიანობის დღესასწაულს, დღესასწაულს სახელმწიფოსა, რომელსაც სსრ კავშირი ჰქვია, ჩვენ აღვნიშნავთ ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში. სამშენებლო მოედნებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეცნიერთა ლაბორატორიებში მიღწეული ახალი გამარჯვებებით. კარგი ამბები მოდის შრომითი წარმატებების შესახებ ყველა მოძმე რესპუბლიკებიდან. „მსოფლიო კომუნისტურ პარტიას, რომელიც მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა საარსებო ინტერესებს გამოხატავს და ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებს, შეეძლო შეეკავშირებინა ყველა ერი და ეროვნება ერთიან ინტერნაციონალურ ძმობად და წარმართა მათი ძალები ახალი საზოგადოების შესაქმნელად", — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ".

პირველი მაისის მარშში ჩაქსოვილია ხუთწლედის შრომითი რიტმი. „ხუთწლედის პირველი წლის გეგმა წარმატებით შესრულდა!" — ამაყად მოჩანს კოლონებში წითელი სტრიქონი. შემდეგ მოყვანილია ჩვენი მიღწევების ციფრები. ეს არის ხალხის შრომითი მამაცობის ჰიმნი, ჩვენი ცხოვრების მკაფიო ნიშნები: „სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 7,8 პროცენტით", წელფასი და პენსიები მოემატა 19 მილიონ საბჭოთა ადამიანს", „საბინაო პირობები გაიუმჯობესა 3 მილიონმა ოჯახმა".

დემონსტრაციის მონაწილეთა ახალი კოლონები სსრ კავშირის ისტორიის ახალი ფურცლებია. ნელა მოდის მანქანა, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში აღადგენს იმ მრისხანე წლებს, როცა სამშობლოში გაისმოდა მოწოდება: „აღსდექ, დიდო ქვეყანავ!" გამარჯვების დროშის ფონზე ელვარებს სამამულო ომის ორდენი. მოჩანს ლოზუნგი — „დიდება ფრონტისა და ზურგის გმირებს!", დიახ, კაცობრიობას შუდამ ეხსომება საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა, რომელმაც ფაშისტური დამონებისაგან იხსნა მსოფლიო. საბჭოთა მეომრები და მოძმე ქვეყნების მეომრები საიმედოდ იცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს. ეს აზრია ჩაქსოვილი სადღესასწაულო დემონსტრაციის ერთ-ერთ ფერად პანონში.

დღესასწაულის სიმფონიას ერწყმის ხალისიანი სიმღერა „არწივის მართველ". მწყობრი ნაბიჯით მოდიან ნარინჯისფერ საკაფანდრიანი, თეთრშუბარადინი ნორჩი გაგარინეელები. მათ მოპყვებიან ნორჩი მეზღვაურები, ნორჩი სანოვაზეელები... ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ნახევარი საუკუნისაა. უფროსი ფაიფის ტრადიციებისადმი ერთგულების ფიცად გაისმის პიონერულ დროშაზე წარწერილი სიტყვები; „ვიცხოვროთ, ვისწავლოთ და ვიბრძოლოთ, როგორც ვლადიმერ ილიჩ ლენინმა, — მუდამ მზად ვართ!".

მშვიდობა! — ეს სიტყვა მეორდება დღეს ათასობით ტრანსპარანტზე, პანოზე, ლოზუნგზე. სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩვენი პარტია და მთავრობა, მას სულ უფრო მეტად უჭერს მხარს პლანეტის მრავალი მილიონი მშრომელი. „სსრ კავშირი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯია" — წარწერილია სადღესასწაულო ალისფერ ქსოვილზე.

თითქოს ამ სიტყვებს ეხმაურება მგზნებარე მოწოდება: „პროლეტარიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", რომელიც ნაღარასავით გაისმა ნახევარი საუკუნის წინათ და ახლაც შეკავშირებისათვის უსმობს ყველა მშრომელთ თავიანთი უფლებებისათვის, ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების ცოცხალი განსახიერებაა. წითელ მოედანზე პირველი მაისი ცალკე ფლაგშტოკებზე აფრიალებს მოძმე სოციალისტური ქვეყნების დროშებს, ისინი ამკვიდრებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პროგრამის სიდიადეს. დროშების ერთიანობა მისწრაფებათა ერთიანობის განსახიერებაა.

„სოციალისტური ქვეყნების მშრომელებო! ებრძოლეთ მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის, ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის!" — ვეთხოულობთ ტრანსპარანტზე, რომელიც კოლონების თავზე აღუმართავთ.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ამსილენენ იმპერიალიზმის ხრიკებს და იბრძვიან იმისათვის, რომ გადააქციონ ევროპა მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტინენტად, შექმნან კოლექტიური უშიშროების სისტემა აზიაში, იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

პირველი მაისის დღეს საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მუდამ თაგანაანი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი არიან, კვლავ უსხდებენ სოლიდარობას მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლებს. ამისათვის მოგვიწოდებენ დღეს ლოზუნგები წითელ მოედანზე: „დაე განვითარდეს და განმტკიცდეს მსოფლიო სოციალისტური სისტემა!", „მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობისათვის!", „დიდება გმირ ვიეტნამელ ხალხს!", „ხსარს ვუჭერთ არაბი ხალხების ანარსოლიან ბრძოლას!", „ახლო აღმოსავლეთის სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის!".

წითელი დროშების ესკორტით ჩაიარა მანქანამ, რომელზეც დამაგრებულია უზარმაზარი ლოზუნგი „კომუნიზმი გაიმარჯვებს!".

ცისარტყელას ფერებით ელვარებს და გაზაფხულის ნიავი არხევს აბრეშუმის ქსოვილებს. მოედანზე შემოდიან სპორტსმენები. მანქანაზე სსრ კავშირის ალმის ქვეშ არიან მსოფლიოს, სპორტის ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონები, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონები. მოდიან სახელგანთქმული სპორტის ოსტატები და ფიზკულტურელები, რომლებმაც ეს-ეს არის ჩაბარეს მშთ ახალი კომპლექსის ნორმები.

მოედანზე ბაგშვები არიან. ისინი ასრულებენ სპორტულ ვარჯიშს. წარეალეს ხმები: „ბედნიერი ბავშვობისათვის ჩვენი მადლობა მშობლიურ პარტიას!".

ფერს ვაღსის მელოდია და ღღესასწაულის ახალი მონაწილენი, რომლებიც წითელი მოედნის ცენტრში ჩამწკრივებულან, ასახიერებენ ნამგალსა და უროს.

მოედანზე ყოერს გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვები:

— სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!

— საბჭოთა მთავრობას — დიდება!

— ჩვენს სამშობლოს — დიდება, დიდება, დიდება!

გუგუნებს „ვაშა!", გრიალებს ტაში. მაგზოლეუმის საფეხურებზე არბიან პიონერები და ოქტომბრელები. მათ გაზაფხულის თაიგულები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

იწყება მშრომელი დედაქალაქის სადღესასწაულო მარში. მოედანზე შემოდიან მოზეიმე დემონსტრანტთა კოლონები. წინ მოაქვთ დედაქალაქის დროშა და მოდის მანქანა, რომელზეც არის მხატვრული პანო „გმირი ქალაქი მოსკოვი". მანქანას მოაქვეა მერე მანქანა, რომელსაც ქვეყნის მოსკოველთა პატაკები ხუთწლედის დაკალებათა შესრულების, სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების შესახებ. გადავაქციოთ დედაქალაქი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად — ასეთი ამოცანა დასახა სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მოსკოველნი მტკიცედ ასრულებენ მას.

მოდიან „სერპ ი მოლოტის" მეტალურგები. პირველ რიგებში არიან სოციალისტური შრომის გმირი უფროსი მვალცაკი ა. ი. პეტუხოვი, მისი კოლეგები ი. ა. საველიევი, ვ. ე. პლიასოვი, მეფოლადე ვ. ი. კოპტევი, სსრ კავშირის უმაღესი საბჭოს დეპუტატი ვ. ვ. კლიუევი. ეს არის ის დეპუტატი ბუშა, რომელმაც ერთი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის ყველა მეფოლადეს მოუწოდა — ვიბრძოლოთ იმ უფლებისათვის, რომ გამოვადნოთ ხუთწლედის დამლეგიისათვის დაგეგმილი მე-150 მილიონე ტონა ფოლადი. და აი მუშათა პატაკი პირველ მაისს: ხუთწლედის დამდეგიდან ვ. ვ. კლიუევის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 410 ტონა ფოლადი.

მეფოლადეთა კოლონაში არიან შრომის ვეტერანები და ახალგაზრდობა. 1905 წლის ბარიკადებზე „ბუჟონის" მუშებს მოუწოდა პაველ კაბელევსკიმ. დღეს მისი შვილიშვილები ვიქტორი და ნინო ქარხნის მოწინავე სპეციალისტები არიან.

„პირველ მაისს — 43 ზეგეგმითი ჩარხი!" — მოაქვთ დემონსტრანტებს ჩარხსამშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" ლოზუნგი.

— ახლა ჩვენი ძირითადი პროდუქციაა მაღალი წარმადობის და განსაკუთრებით ზუსტი სახარატო უნივერსალები და პროგრამული მართვის აგრეგატები, — ამბობს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ვ. ერმილოვი.

სადღესასწაულო მარშში ხმირად ვხედავთ ხუთკუთხედს — ხარისხის სახელმწიფო ნიშანს. ამ ნიშნით აღინიშნა მოსკოვის მშრომელთა ბევრი ნაწარმი. ხარისხის უმაღლესი ეტალონი მიენიჭა ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ელექტროქარხნის ტრანსფორმატორებსაც.

მხიარული სამაისო სიმღერით შემოდის წითელ მოედანზე ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის კოლონა. ისინი საუცხოო გუნებაზე არიან: ქარხნის ზეგეგმითს ანგარიშზეა 600 „მოსკვიჩი" წლის დამდეგიდან.

„ეკავადიოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება!" — მოედანზე ხმირად დაინახავთ ამ ლოზუნგს. დეკაბრისტი ბოლტინი მოედანზე შეიკრიბა ათი ათასობით ადამიანი — დედაქალაქის ქარხნების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. ალმებით, ყვავილებით, მარქსის, ენგელსის, ლენინის, გოტვალდის პორტრეტებით მორთულ ტრიბუნაზე არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

გ. ჰუსაკმა შეკრებილთ სიტყვით მიმართა და გულითადად მიულოცა დღესასწაული რესპუბლიკის ყველა მშრომელს. მან აღნიშნა ის წარმატებანი, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელმა ხალხმა მიაღწია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობით პარტიის XIV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში.

ვარშავა. ხალხისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ერთიანობის დამაჯერებელ დემონსტრაციად გადაიქცა პირველი მაისი ვარშავასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

სადღესასწაულო დემონსტრაციის კოლონები დედაქალაქში გახსნა წარმოების მოწინავეთა, ცნობილ მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა, მუშათა მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფმა.

საპირველმაისო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა.

ბერლინი. ბერლინის ცენტრალურ მოედანზე — მარქს-ენგელს-პლაცზე გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია.

საპატიო ტრიბუნაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ბონეკერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, თავისუფალ გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ გ. ვარნკემ. მან მეზნებარე სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხებს საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მომავალ 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ბუდაპეშტი. მთელი მსოფლიოს მშრომელებთან სოლიდარობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმობის ნიშნით მიმდინარეობს პირველი მაისის დღესასწაული სახალხო უნგრეთში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის პარადების მოედანზე გაიმართა მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიესალმნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მუშათა კლასი ასობით პატაკით ცხადყოფს თავის წვლილს ხუთწლედის მთავარი ამოცანის — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების — შესრულებაში.

ამ ფერადების ზეიმში იგრძნობა კომბინატ „ტრიუბერნაია მანუფაქტურას", შრერბაკოვის სახელობის კომბინატის, ვაერთიანება „ქალის მოდის" და მრავალ სხვა საწარმოთა მუშაობის თავისებურება, რომელთა პროდუქცია უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. და მოსკოვი თავისი საპირველმაისო მსვლელობით დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ დღეს მისი საწარმოები მუშაობენ უკეთ და აკეთებენ მეტს, ვიდრე წინათ. უმჯობესდება ადამიანთა კეთილდღეობა — ხორციელდება ხუთწლედის მთავარი ამოცანა. კოლონების პატაკები ცხადყოფენ დედაქალაქის თვითეული საშუალო დღის სიდიადეს, ჩვენი სამუშაო დროის ფასს.

ერთ დღეში „ტრიუხგორნაია მანუფაქტურას" საამქროებიდან ქვეყანა იღებს 250-ზე მეტრ ნახატისა და ნახევრის 800 ათას მეტრ ქსოვილებს.

მოდიან მშენებლები. ყოველდღე მოსკოვში ახალმოსახლეობას ზეიმობს 500-ზე მეტი ოჯახი. მათი სიხარული საუკეთესო ჯილდოა იმათთვის, ვისი ხელითაც იქმნება დედაქალაქის უნები.

წითელი მოედანი მიესალმება მოსავლის ოსტატებს. უსარმაზარი თვმატური პანო დემონსტრანტთა რიგებში ასახავს ჩვენი სოფლის მეურნეობის გეგმების სიდიადეს. მოპნფიფული ყანის ფონზე მოჩანს კომბაინი, შორს — ელევატორი. წითლად ელვარებს ხუთწლედით დასახული ქვეყნის მარცვლეულის საშუალო-წლიური მოსავლის ციფრი — 195 მილიონი ტონა. „პარტიის დირექტივებს სოფლის მეურნეობაში წარმატებით შეასრულებთ!", „განვახორციელებთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსს!", — წარწერილია ტრანსპარანტებზე.

გაზაფხული მოიტანეს წითელ მოედანზე კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. მათთან ერთად ვხედავთ არიის ხის კორომსაც და აყვავებულ ბალსაც.

— კორომი — ჩვენთან ახლახან შექმნილი ქალაქებისა და სოფლების გამწვანების ახალი განყოფილების ნიშნად, — ამბობს პროფესორი ხ. ხ. სერგეევი, — აყვავებული ბაღი ინტერნაციონალური სიმბოლიკა. აკადემიაში სწავლობს 50 ეროვნების 3.500 სტუდენტი. უმაღლესი სასწავლებლის ათასობით აღსაზრდელი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად რგავს ხეებს, და ჩვენ მოხარული ვართ ვუჩვენოთ პირველ მაისს როგორ იფურჩქნება მეგობრობის ბაღები.

მოედანზე შემოდიან საბჭოთა მეცნიერების შტაბის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წარმომადგენლები. მათ შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, საბჭოთა და საერთაშორისო პრემიების ლაურეატები — ისინი, რომლებთანაც სამართლიანად ამაყობს საბჭოთა ხალხი.

ხალხის ნაკადს მოჰყვება უზარმაზარი სფერო. ეს არის პლანეტა მარსის მაკეტი. ამ პლანეტაზე დგას კოსმოსის საბჭოთა მკვლევარი. მაკეტი სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის წარმატებებს სამყაროს კვლევაში. „მარს" სადგურის ანტენებზე ციმციმებენ სასიგნალო ნათურები. მუშაობს ძრავის დანადგარი: გეგონება, ეს-ეს არის „წითელ პლანეტას" უნდა მოსწყდესო საბჭოთა ადამიანის ხელით შექმნილი კოსმოსური აპარატი, რომელსაც სამყაროს კიდევ ერთი საიდუმლოება მოაქვს თან.

ხალხის ახალ-ახალი ნაკადები ერთვიან წითელ მოედანს. დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციას ამთავრებს მოსკოვის კომკავშირელთა ათიათასიანი კოლონა.

...სადღესასწაულო ხვლა წითელ მოედანზე რამდენიმე საათს გაგრძელდა. ეს იყო საბჭოთა ხალხის ერთიანობის, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდ შეკავშირების, იმ გადაწყვეტილების აღმაფრთოვანებელი მანიფესტაცია, რომ მტკიცედ განახორციელოს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული წინასწარმეტყველებანი.

რეპორტაჟი წითელი მოედნიდან მოამზადეს საკადესის კორესპონდენტებმა.

1972 წლის 1 მაისის დღესასწაული მოსკოვში. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

საკადესი (მიღებულია საკინფორმის ფოტოტელეგრაფით).

დღესასწაულობს საბჭოთა ქვეყანა

უკრაინა

კიევი. 1 მაისი. (საკადესი). კიევის ცაში აზიდულა ალისფერი დროშები. კრეშჩატიკზე ქალაქის საბჭოს შენობის ფასადს ამშვენებენ ვ. ი. ლენინის პორტრეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების პორტრეტები. ფრიალებენ სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი.

ამხ. პ. ე. შელესტმა შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა. შემდეგ დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია.

მოდიან თვითმფრინავთმშენებლები. ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საპატივცემო ქარხნის კოლეტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს ხუთწლედი, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1,7-ჯერ და ამის მეოხებით სულ ცოტა 90 პროცენტით გაადიდოს სამრეწველო პროდუქციის მატება.

ქიმიური ბოჭკოს კომბინატის კოლონას მოაქვს ტრანსპარანტები: „ჩვენ გამარჯვებებს ასხიესნენს ილიჩის იდეების სიდიადე!", „გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას!". საწარმოში შრომობს ოხუთმეტი ეროვნების მუშა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომბინატის კოლექტივი ემზადება ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს, განახორციელონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყაზახეთი

ალმა-ათა 1 მაისი. (საკადესი.) გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმამ გაავაბედა ამიერალის ალათაუს მთისძირას მდებარე ქალაქი. ყველგან მოჩანან ალისფერი ალმები, ლამაზი პანიები, რომლებიც ასახავენ სკკპ XXIV ყრილობის დიადი წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებას. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ჩაიარეს ქალაქის ყველა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების კოლონებმა. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ბ. ნიაზბეკოვმა მოედანზე შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

სომხეთი

ერევანი. 1 მაისი. (საკადესი). პირველ მაისს, დილას, სომხეთის დედაქალაქის მცხოვრებლები გაეშართნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მოედნისაკენ. აქ შეიკრიბა ათასობით წარმოება მოწინავე, მშენებელი, გარეუნების კოლმეურნეობათა მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ვ. ქოჩინიანმა.

შემდეგ დაიწყო სადღესასწაულო საპირველმაისო დემონსტრაცია. წელს გაზაფხულს, შრომისა და მშვიდობის დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები. აღნიშნავენ სსრ კავშირის ხალხთა მრავალეროვანი ოჯახის იუბილეს მიჯნაზე. მეგობრობისა და ძმობის თეძა წითელი ზოლივით გასდევს მთელ საპირველმაისო დემონსტრაციას. იგი ასახულია ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხნის — ქვეყნის მომძე ხალხთა დახმარებით აშენებული რესპუბლიკის უდიდესი საწარმოს შრომითს პატაკებში. დღეს ქარხანა სსრ კავშირის ყველა ეკონომიურ რაიონს უგზავნის მოძრავ ელექტროსადგურებს, გენერატორებს, ტრანსფორმატორებს. დადგნენ რა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვაზტზე, ელექტრომანქანათმშენებლებმა ვადამდე შეასრულეს 4 თვის გეგმა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით.

ტრიბუნის წინ ჩაიარეს სტუდენტებმა, მშენებლებმა, პოლიგრაფისტებმა. მათ მიჰქონდათ ლოზუნგი „გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას", რომელიც დაწერილი იყო ჩვენი ქვეყნის თხუთმეტივე რესპუბლიკის ხალხთა ენებზე. გავლის ერთი-ორი თვე და დღევანდელი დემონსტრაციის 8 ათასი მონაწილე — სტუდენტთა სამშენებლო რაზმების წევრები წავლენ ხუთწლედის მშენებლობებზე, იშრომენენ ყაზახეთსა და შუა აზიაში, ურალსა და მოსკოვის ოლქში, სომხეთის ქალაქებსა და სოფლებში.

სადღესასწაულო დემონსტრაციამ ასახა სომხეთის მშრომელთა გაცხოველებული, შემომქმედებითი ცხოვრების ყველა მხარე, მათი გადაწყვეტილებაა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს, განახორციელონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ბელორუსია

მინსკი. 1 მაისი. (საკადესი). ბელორუსიის დედაქალაქის სადღესასწაულო ფერებს — მოედნებზე გამოკიდულ ალისფერ დროშებს, ბულვარების სიმწვანეს — დღეს შეემატება ახალი ხასხასა ფერები — ზზის სხივები. ჯერ ასეთი მშვენიერი თბილი დღე არ ყოფილა აქ გაზაფხულზე. აყვავდა დაუბვავის კომკავშირული სანაპირო — რიგი ინდუსტრიული ობიექტების ტრადიციული ადგილი. ქალაქში ეღერს ფაფარები. იწყება მოსკოვიდან მიტინგის ტრანსლაცია — ეთერშია წითელი მოედანი. შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა.

საპირველმაისო დემონსტრაციის კოლონები დედაქალაქში გახსნა წარმოების მოწინავეთა, ცნობილ მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა, მუშათა მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფმა.

საპირველმაისო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა.

ბერლინი. ბერლინის ცენტრალურ მოედანზე — მარქს-ენგელს-პლაცზე გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია.

საპატიო ტრიბუნაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ბონეკერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი.

ბულგარეთი

ბაძო. 1 მაისი. (საკადესი). საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აზერბაიჯანის მიერ განვლილი გმირული გზის ეტაპები ასახულია ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გამოსული საპირველმაისო კოლონების სადღესასწაულო გაფორმებაში.

შეკრებილთ მიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

„ვადამდე!" — წარწერილია ტრანსპარანტზე, რომელიც მენავთობეთა კოლონას მოაქვს. რესპუბლიკის მატერიკის საბადოებში მათ ამოიღეს 2 მილიონ ტონაზე მეტი თხევადი სათბობი და ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის დავალება. დღეს კი მიაღწიეს კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან მიჯნას — შესრულებულია გაზის მოპოვების ხუთი თვის პროგრამა.

დღესასწაულს წინ რესპუბლიკაში მოვიდა სასახარულო ცნობა: ხუთწლედის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში მოპოვებული წარმატებებისათვის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და მიანიჭეს სსრ კავშირის მინისტრთა საბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი. 1972 წლის 1 მაისი. მთავროობის ტრიბუნაზე.

ბ. კიკვაძეს, ვ. დავითაშვილის და ო. თურძიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთიან, ურღვევ ოჯახში

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო მიტინგი და დემონსტრაცია

ზემოქმედებით მზნებარებით არის აღსავსე ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი ახალი მკაფიო დადასტურებაა მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე ნებისა, რომ წარმატებით შეასრულოს პარტიის დიდებული გეგმები. მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობით ფართოვდება შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მიმდინარე წლის გეგმის და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიაში შრომის ნამდვილ დღესასწაულად შეიდა 15 აპრილის „წითელი შაბათი“ სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 102 წლისთავსა და სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

შრომისა და მშვიდობის ნათელ გაზაფხულის დღესასწაულს საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უგებებიან სიამაყის გრძნობით თავიანთი დიადი საშობოლოსათვის, რომელიც მომმე ხალხთა ურღვევი მრავალეროვანი თანამეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ცოცხალი განსახიერებაა.

...რუსთაველის პროსპექტი. ყველგან მხოლოდ წითელი ფერი მოჩანს. ხალხით არის გაჭედილი ტრიბუნები საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან. აქ შეკრებილან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, სამრეწველო საწარმოთა და მეწინავე ლობათა წარჩინებული ადამიანები, ამერკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გენერლები და ოფიცრები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან მ. ჯ. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, პ. ვ. მელნიკოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, ბ. ნ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანშვილაძე, ბ. დ. ჯაფარიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, ი. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი. ესწრებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ჭადაპეტრიანი, ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბაჩუა, ვ. მ. სირაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ჰ. ბუხრაშვილი.

იწყება პირველი მაისისადმი მიძღვნილი მიტინგი.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ჰ. მჟავანაძემ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! თბილისის მშრომელებო!

დღეს ჩვენში დიდი და სახალხოარული დღესასწაულია, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, პირველი მაისის დღე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად გაფლიცავთ თქვენ, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებს, საპირველმაისო დემონსტრაციაზე შეკრებილთ, თქვენი სახით კი სახალხოთა საქართველოს ყველა მშრომელს — ჩვენს გმირულ მუშათა კლასს, ჩვენს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, ჩვენს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას, ამერკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის და ამერკაკავკასიის სახაზღვრო ოლქის მეომრებს გაზაფხულის ნათელ დღესასწაულს — პირველი მაისის დღეს!

წლევანდელ პირველ მაისს საბჭოთა ეგებება ახალი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში, ახალი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ ერთმა წელმა განვლო. ეს იყო ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარების, კულტურული მშენებლობის, ახალი აღმავლობის, შრომითთა კეთილდღეობის გაუმჯობესების წელი. წარმატებით დაამთავრეს შარშანდელი სამეურნეო წელი ჩვენი რესპუბლიკის შრომელებმა. კარგად აიღეს ჩვენში მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის სტარტი. თბილისის მრეწველობის შრომელებმა, რომლებიც ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ებრძვიან, ვადამდე, 28 აპრილს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა, რესპუბლიკის მრეწველობამ კი ოთხი თვის გეგმა 29 აპრილს შეასრულა. კომუნისტური შრომის მაღალი ნამუშევრით აღნიშნეს საქართველოს შრომელებმა, ისევე როგორც მოელმა საბჭოთა ხალხმა, სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რითაც ღირსეულად გაანგარეს დიადი თაოსნობის ლენინური ტრადიციები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის შრომელებს კვლავაც აქტიურად ებრძოლონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი ახალი მიღწევებით მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სახალხო მეურნეობის მუშაკთა მოვალეობაა ყოველნაირად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, უფრო ფართოდ დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, დაინერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

წლევანდელ პირველ მაისს ჩვენნი ქვეყანა ეგებება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილესთვის — ერთიან, ძმურ ოჯახში კომუნიზმის მშენებელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაულისათვის მზადების ნიშნით. ეჭვი არ არის, რომ ეს სახელოვანი იუბილე კვლავ ცხადყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ერთიანობას, მათს შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთგულებას ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპებისადმი, უსაზღვრო ერთგულებას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი.

დღეს, პირველი მაისის დღეს, ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას — ჩვენს სახელოვან ქალაქებისებსა და ჭაბუკებს. პარტიამ მოუწოდა საბჭოთა ახალგაზრდობას მტკიცედ დგეფულს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად რევოლუციურ მოძღვრებას, მეცნიერებას, ტექნიკისა და კულტურის მწვერვალებს, იყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანნი, შემოქმედებითი შრომის სადარჯოზე ფეხზლად დგანან საბჭოთა კავშირის გმირი შეიარაღებული ძალები. დღეს ჩვენ დღესასწაულს გულოცავთ სახელოვან ამერკაკავკასიელ მეომრებს, ჩვენს მამაც მესაზღვრეებს და ჯუხურავებთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. პარტია მოუწოდებს საბჭოთა მეომრებს იყვნენ ფხიზლად, მუდამ მზად იყვნენ ყოველი აგრესიის მოსაგერიებლად.

განვლილმა წელმა დამაჯერებლად გვიჩვენა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მსვლელობაზე სკკპ XXIV ყრილობის ზემოქმედების მძლავრი ძალა. უკანასკნელ ხანს განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი აქციები საერთაშორისო ვითარების გასაუმჯობესებლად, სსრ კავშირისა და მსოფლიოს სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო-პოლიტიკური პოზიციების განსამტკიცებლად. ეს მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად ადგანან ყრილობის მიერ დასახულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და უშიშროების აქტიური დაცვის კურსს.

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ სულითა და გულით მოგილოცოთ პირველი მაისის დღე და კეთილი ოთ ყოველივე ხაუკეთესო — ჯანმრთელობა, ახალი შრომითი წარმატებანი, სიხარული და დიდი ბედნიერება!

დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ ავანგარდს, საბჭოთა ხალხის ბელადსა და ორგანიზატორს კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

ვ. პ. მჟავანაძის ბოლო სიტყვებს შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ, დიდებულად ულერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები მელოდიები.

□ □ □

სამშობლოზე, პარტიაზე ფიქრით გამოვიდნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები დემონსტრაციაზე. რუსთაველის პროსპექტზე პირველი შემოდან რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული რაიონის — ლენინის რაიონის მშრომელთა კოლონები. მეწინავე კოლონის წინ მოაქვთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი, ვისი გენიაც დაგვეხმარა. გვიპოვნა ჩვენი გზა ნათელი მომავლისაკენ. ფრიალებს აბრეშუმის ქსოვილი. მასზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მილიონობით საბჭოთა ადამიანის გრძნობებსა და ფიქრებს: „პარტია ჩვენი დიდებაა!“ მაღლა აღუმართავთ სსრ კავშირის ალმი. აქვე მოაქვთ თხუთმეტი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

მოდის რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს — ყიროვის სახელობის ხარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი. მის საამქროებში წლის მანძილზე უშვებენ ამდენ ჩარხს, რამდენსაც რეკორდციამდე აწარმოებდა რუსეთის მთელი მრეწველობა. ფართოდაა ცნობილი ყიროველთა მიერ შექმნილი სპეციალური ჩარხები.

მოდის „ვლ-10“ ლოკომოტივის მაკეტი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამ პირმშოს ნახავთ ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალზე. ოცდაათიან წლებში ამერკაკავასიის რკინიგზის პირველ ელექტროფიცირებულ უბანზე სურამის უღელტეხილით გაიარეს პირველმა ელმავლებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ იტალიაში შეიძინა. ახლა ელმავლების წარმოების დარგში საქართველო უსწრებს ევროპის ყველაზე დიდადგანვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის იტალიასაც.

მთელ პროსპექტზე გაისმის შეძახილი:

— გაუმარჯოს საბჭოთან ერთად მუშათა კლასს — კომუნიზმის მშენებლობის წამყვან ძალას!

მოდის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი. კოლონას სათავეში უდგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მრთელი მზი არათანაბარი. მან გამოიჩინა ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის შეჯიბრების ინიციატივა. კომბინატში მზიას 300-ზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

რუსთაველის პროსპექტზე კვლავ და კვლავ მოდის მოზეიმე ხალხი. ძძლავრ ნაკადად მოედინებიან ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე პირველი მაისის, კალინინის, ოქტომბრის, კიროვის რაიონების, 26 კომისრის სახელობის რაიონისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონის წარმომადგენლები. მათ რიგებში არიან მანქანათმშენებლები და ქიმიკოსები, ხელსაყოფთმშენებლები და ფეიერვერკი, მეფეხსაცმელეები და მკერავები... მათ მოაქვთ ლაბი ბალაკტები, ტრანსპარანტები, სქემები, დიაგრამები. ყოველი სიტყვა, ყოველი ციფრი, ამაბავს მშრომელთა ბრძოლას სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყოველ კოლონაში ვხედავთ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, ქალაქის საწარმოებში ახლა 35 ათასზე მეტი დამკვრელია. ყარგია საზეიმო მსვლელობას შეეერთო და რესპუბლიკის დედაქალაქის მუშათა გვარდიის ისეთი სახელგანთქმული წარმომადგენლების გვერდით იარო, როგორიც არიან სოციალისტური შრომის გმირი მკედელი კ. ილურიძე, ამწყობი ზეინკალი ვ. ასათიანი, მეტროს მშენებლები გ. ობოლაძე და ჯ. ლუბავსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამწყობი ზეინკალი ვ. გოლოვინი, ესენი არიან ყოველივე ახლის, მოწინავის ინიციატორები.

მიესალმები რა სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების განმტკიცებისათვის მებრძოლთა ავანგარდში მომავალთ, პარტია თავის მოწოდებაში აცხადებს:

— დიდება სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებსა და წარმოების ნოვატორებს, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს გვიჩვენებენ!

რუსთაველის პროსპექტი გიზაფხულის ბაღს დამსგავსებია. ყვავილებით, ყვავილებით მოდიან მოსწავლეები, გაისმის წყრიალა სიმღერა „დე მუდამ იყოს მზე...“

და კვლავ პროსპექტზე საწარმოთა კოლონები შემოდიან. მათ მოაქვთ ციფრები, რომლებიც ძალიან ბევრ რამეს ეუბნებიან თვითეული ჩვენგანს „24“ და „50“, საბჭოთა ადამიანები თავიანთ ძლევამოსილ წინსვლას უკავშირებენ სკკპ XXIV ყრილობის სახროგრამო, ხუთწლედის შრომითს ნაბიჯს. ისინი ცდილობენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს შეეგებონ ახალი მიღწევებით კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ტრიბუნაზე შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივს. მის საამქროებში აშენა ბევრი შესანიშნავი თაოსნობა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა საწარმოს კუთვნილება გახდა. ამ შრომობს საწარმოო რეკორდების ასობით ოსტატი.

მოდის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი, მისი პროდუქცია კარგადაა ცნობილი საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში. ჩაი რესპუბლიკის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სუბტროპიული კულტურა, მისი მთავარი სიმდიდრეა, ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 65 ათას ჰექტარამდე. წლითი-წლობით იზრდება მოსავლიანობა.

ფრიალებენ ნაირფერი ქსოვილები. ეს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საწარმოთა პროდუქციაა. ისინი ნატურალური, ხელოვნური სინთეზური აბრეშუმისაგან იღებენ 40 არტიკულს ქსოვილს. ამ დღეებში ერთ-ერთ მათგანს — კრეპ-შიფონს მიენიჭა ხარისხის ნიშანი.

მოდიან მშენებლები. ეს მათ მიმართავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდება:

— მშენებლობის მუშაკებო! აბრძოლეთ ახალი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დარჩენილი ვადებისათვის, მიაღწიეთ მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებას!

განვლილ ხუთწლედში სამრეწველო, სასოფლო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში დაბანდებულია დაახლოებით ხუთი მილიარდი მანეთი, რაც საბჭოთა საქართველოს 50 წლის მანძილზე კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის მესამედს შეადგენს.

დიდებულია საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. განუწყვეტლივ ჟღერს მუსიკა, გაისმის სიმღერები. რუსთაველის პროსპექტზე გამოდის ახალგაზრდობა — უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, შრომითი რეზერვების სასწავლებელთა მოსწავლეები. რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში ცოდნას ეუფლება თითქმის 90 ათასი კაცი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენში მომზადებულია 200 ათასი დიპლომირებული სპეციალისტი.

ახალგაზრდობის კოლონის გაფორმება ასახავს, რომ კომკავშირული ორგანიზაციები დევნიან: „ახალგაზრდა მშენებელთა დამკვრელური შრომა — სსრ კავშირის 50 წლისთავს“ მონაწილეობენ სრულიად საკავშირო დამკვრელურ მშენებლობათა ახალგაზრდული კომკავშირული კოლექტივების ესტაფეტაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. რესპუბლიკის 500-ზე მეტი წარმომადგენელი თავდადებით შრომობს სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

ღამაზი, დასამახსოვრებელი სანახაობაა ფიზკულტურელების — ლონიერი და კუნთმაგარი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გამოსვლა. სპორტი მტკიცედ დამკვიდრა ადამიანთა ყოფაში. სპორტს მისდევს მილიონზე მეტი კაცი — რესპუბლიკის მოსახლეობის მეოთხედი.

ჩვენი ახალგაზრდობის, კომკავშრელების ბატიუსაცემად გაისმის მისალმება:

— გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

ეუს ტაში. თბილისელები გულთბილად და გულითადად მიესალმებიან ვიეტნამელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც ქალაქის მეექვსე პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობენ.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც შეესაბამება სოციალიზმის ძირეულ ინტერესებს. დემონსტრაციის მონაწილენი სოლიდარობას უცხადებენ ინდოჩინეთის ბატრიოტებს, რომლებიც იცავენ თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას, არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელ აგრესორთა წინააღმდეგ, მოითხოვენ ყველა სახეობის ატომური და ქიმიური იარაღის აკრძალვას.

დემონსტრაციის დამსწრენი ტაშს უკრავენ მეცნიერებს. ისინი ეწევიან კვლევას თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. მეილი მათი საქმიანობა ახლა განსაზღვრულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებით, ფართოვდება მეცნიერებისა და წარმოების კავშირურთიერთობა. ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო-სამეურნეო პრობლემების კომპლექსურ შემუშავებაში.

მეცნიერების გვერდით მოაბიჯებენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მებრძოლი იდეოლოგიური რაზმი. ქართველ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნილია ბევრ ენაზე, გამოცემულია საზღვარგარეთ. ჩვენი მხატვრების სამშენერები არაერთხელ იყო ექსპონირებული სრულიად საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე.

ქართველი ხალხის ყველა გამარჯვება შესაძლებელი გახდა ლენინური იდეების ცხოველმყოფელი ძალისა და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით და საფუძვლად უდევს ხალხთა ღრმა ინტერნაციონალიზმი, ძმური მეგობრობა.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მზად არიან განახორციელონ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი.

(საქინფორმის კორ.).

მაისი საზეიმო

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა საპირველმაისო დღესასწაულმა საქართველოში. ზეიმი იყო ყველგან, ყველა ქალაქში, სოფელში, ოჯახში. საპირველმაისო დღესასწაულზე საქართველოს მშრომელები მოვიდნენ ხელდამშვენებულნი, ახალახალი წარმატებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

სოხუმი. (საკ. კორ.). ძმობის, შრომის დღესასწაული — პირველი მაისი დიდი ზეიმით აღინიშნა აფხაზეთში.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალებანი, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა პროდუქცია. განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოხუმის ხელსაწყოების ქარხანის, საკონდიტრო ფაბრიკისა და საკონსერვო ქარხნის კოლექტივები. ტყვარჩელ-ვანახშირის ტრესტის მშრომელები, მეჩაიეები, მესამინდეები, მეთამბაქოეები და სხვები მტკიცედ იბრძვიან სსრ კავშირის 50 წლისთავის საამაყო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის.

ქალაქში სოხუმმა ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. მოზეიმე კოლონები ლენინის მოედნისაკენ გაემართნენ. ტრიბუნასთან მწყობრად ჩაიარეს ფიზკულტურელებმა, პიონერებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, სტუდენტებმა. გაისმის მხიარული „ვაშას“ შეძახილი.

მოდიან ქალაქის საწარმოების, დაწესებულებების მუშათა კოლონები. ისინი უპატაკებენ სამშობლოს ახალ საწარმოო მიღწევათა შესახებ. მათ თან მოაქვთ ახლად გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები. დასწრენი ტაშით ეგებებიან სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებს.

დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სპორტმოედნებზე, პარკებში გაიმართა შეჯიბრებანი, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები.

ბათუმი. (საკ. კორ.). გაზაფხულის დღესასწაულმა მრავალი სიხარული მოუტანა აჭარის მშრომელებს. მათ სამშობლოს ახალი წარმატებები უპატაკეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მომხიბვლელი სანახავია სამაისოდ მორთული ბათუმი. ხალხი დილიადანვე გამოეფინა ქუჩებში. ირგვლივ საზეიმო მელოდიები იღვრება.

ათ საათზე იწყება მშრომელთა საღღესასწაულო დემონსტრაცია. ქუჩები ივსება ალიფერი დროშებით.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებმა სამშობლოს უპატაკეს თავიანთი შრომითი წარმატებანი სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქალაქის მეტმა წილმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა.

ამაყად მოაბიჯებს მუშათა კლასი, ადამიანები, რომლებმაც დაამკვიდრეს და აუშენეს ახალი ცხოვრება, ფაბრიკები და ქარხნები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები, სამშობლოს დიდი რაოდენობით მისცეს კატარღები და ელექტროკარები, მანქანები და ნავთობპროდუქტები. ტრიბუნას ჩაუარეს საზღვაო. ტრანსპორტის მუშაკებმა, მშენებლებმა, მქსოველებმა, რკინიგზელებმა, მედიცინისა და კულტურის მუშაკებმა. ისინი თავდადებით დგანან ხუთწლედის შრომითს ვახტზე და წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ხადღესასწაულო დარაზმულობით აპარის მშრომელებმა გამოხატეს თავიანთი ერთგულება მშვიდობისადმი, პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

ცხინვალი. (საკ. კორ.). ზეიმი — მშვიდობის, სოლიდარობის, შრომის დღესასწაული დიდი ზეიმით აღინიშნა ცხინვალში — სამხრეთ ოსეთის სოფლო ცენტრში. ქალაქი წინადღით საზეიმოდ მოირთო. ალისფერი დროშები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები ფუფუტობდნენ, რომ ქალაქის საწარმოებმა გადაკარბებით და ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის პირველი ოთხი თვის დავალება. ქარხნებმა, ფაბრიკებმა საშობლოს დამატებით მისცეს ელექტროვიბრაციული მანქანები, ავეჯი, სამიდოდ შეკეთებული ავტობუსები, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია.

პირველ მაისს დიდი ზეიმი იყო ცხინვალში. ქალაქის მცხოვრებლები ერთსულოვნად მოხარულნი ბდნენ საპირველმაისო დღესასწაულში. ტრიბუნას მწყობრად ჩაუარეს ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნების, ხე-ტყის კომბინატის, ავტოსარემონტო საწარმოს მუშათა კოლონებმა, მძლავრად ისმოდა „ვაშა“. თეატრალურ მოედანზე თითქმის ახალი სიცოცხლე შემოვიდა, როცა ტრიბუნას მოუახლოვდნენ პიონერები, მოსწავლე ახალგაზრდობა, თეატრის, ანსამბლის მსახიობები. ადამიანთა ნაკადი ღიმილი შრომის, ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულის დადასტურება იყო.

დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ საპირველმაისო ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ი. გოგეჩია.
მ. გორგილაძე.
ი. თედიაშვილი.

ქუთაისი. სადღესასწაულოდ იყო მორთული სავარდო და სამაისო ქუთაისი. ქუჩებსა და მოედნებზე ხალხის ტევა არ იყო. ქუთაისელი მშრომელები ახალი მიღწევებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა პარადი. მშრომელთა მრავალათასიან კოლონებს წინ მიუძღვიან ქართული ავტომობილის მშენებლები. მათ მიერ შექმნილმა სატვირთო ავტომობილებმა დიდი ხანია გაითქვეს სახელი მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში.

მოაბიჯებენ კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდების მფლობელი ლითონფონის ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. იგი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა საბჭოთა კავშირში და გარდამავალი წითელი დროშის მრავალჯეროვანი მფლობელია.

მოდიან ქუთაისის მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლები — ტრაქტორმშენებლები, რომელთა ნახელავი დიდი მოწონებით სარგებლობს მთელ ჩვენს ქვეყანაში.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, საშუალო სკოლების მოსწავლეახალგაზრდობამ, პროფესორ-მასწავლებლებმა, ქალაქის საწარმოდაწესებულებების მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა.

მშრომელთა დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ ქალაქში გვიან ღამემდე გრძელდებოდა მხიარულება. („კომუნისტის“ კორ.).

ზოზეიმე თბილისი

ბ. ბოგოსიანის და ს. ძილაძის ფოტო.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲒᲐᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 1 მაისი. (საკდესი.). კაიროს პრესის ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

ეგვიპტის დედაქალაქის მთელი პრესა აქვიყნებს ამ დოკუმენტის სრულ ტექსტს ან დაწვრილებითს შინაარსს, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა და ეგვიპტელი ხელმძღვანელების მოლაპარაკების დროს სრული ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარება სუფევდა.

„საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე, — წერს გაზეთი „ალ-გუმჰურია“, — ასახავს საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის გულწრფელ მეგობრობას, ურთიერთხელსაყრელ ნაყოფიერ თანამშრომლობას“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო საკითხთა მოწესრიგების მოლაპარაკებაზე, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, ჩინეთის მხარის მიწვევით იმოგზაურა ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებსა და პროვინციებში.

დელეგაცია გაეცნო გუანჭოუს ბაზრობას, ცალკეული საშრეწველო საწარმოებისა და სახალხო კომუნების მუშაობას. იგი მიიღეს გუანდუნის, ჰუბეის, ჰენანის პროვინციების რევოლუციური კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა.

ქალაქ გუანჭოუში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს კანტონის 1927 წლის აჯანყების მონაწილეთა ხაფლავი და კანტონის აჯანყების შემდეგ გომინდანის რეაქციის მიერ მხეცურად წამებული საბჭოთა საკონსულოს მუშაკების ძეგლი. ქალაქ უჰანში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩინელი ხალხის ომში დაღუპული საბჭოთა მოხალისე მფრინავების ძეგლი.

საბჭოთა დელეგაციას მოგზაურობაში ახლდა ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ჩაი ჩენ-ვენი.



ᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲖᲔᲛᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲖᲔ.

Გ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲒᲝᲒᲝᲖᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 1 მაისი. (საკდესი). ᲡᲡᲡᲠ კავშირის, საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ტელეფოტელეტაიპების ერთობლივ ექსპედიციის ხაკრება გუნდების შორის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა ი. ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲛᲐ ინტერვიუ ჩამოართვა იუგოსლავიის გუნდის მწვრთნელს ვ. ᲑᲝᲨᲙᲝᲕᲡ, რომელმაც თქვა:

— შეხვედრა დაძაბული და მეტად საინტერესო იყო. მეორე ტაიმში თამაში ჩვენს სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში თავდამსხმელები ზუსტად ვერ თამაშობდნენ. გარდა ამისა, ჩემი აზრით „ფორმაში“ არ იყო ჯაჩი. შემდეგი შეხვედრა გვექნება მოსკოვში. ჩვენს ტაქტიკას ავაგებთ იმის გათვალისწინებით, რომ ორი გუნდიდან ნახევარფინალში უნდა გავიდეს მხოლოდ ერთი გუნდი. საბჭოთა ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად მომეწონა ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ და ᲙᲝᲚᲙᲝᲕᲘ. ჩემს გუნდში თითქმის ყველა თანაბრად თამაშობდა.

საბჭოთა ფეხბურთელების მწვრთნელმა ნ. ᲒᲣᲚᲘᲐᲔᲕᲐᲛ, ისევე როგორც ვ. ᲑᲝᲨᲙᲝᲕᲐმ, აღნიშნა, რომ მატჩი შეუჯვარი იყო. მატჩის შედეგიო, — დასძინა მან, ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲐ ვართ. მოსკოვში, ლუჟნიკში, ჩვენი გუნდი, ალბათ, შეამტეკი სტილით ითამაშებს. შესაძლოა, რომ მის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილება მოხდეს.

იუგოსლავიის გუნდში, ჩემი აზრით, გამოირჩეოდნენ ᲑᲣᲯᲐᲚᲘ, ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘᲩᲘ და ᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ. საბჭოთა ფეხბურთელებს შორის ყველაზე მარჯვედ ითამაშეს ᲠᲣᲓᲐᲙᲝᲕᲐ, ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ, ᲙᲝᲚᲙᲝᲕᲘ.

ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲒᲕᲐᲕᲚᲔᲑᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 1 მაისი. საკდესის კორესპონდენტი დ. სტეპანენკო გვატყობინებს:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭების ამბავი გამოჩენილმა იტალიელმა მხატვარმა რ. გუტუზომ სიცილიის ქალაქ პალერმოში გაიგო, სადაც იგი მონაწილეობს საარჩევნო კამპანიაში იტალიის პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

საკდესის კორესპონდენტთან ტელეფონით საუბარში რ. გუტუზომ თქვა: „მეტად ამაღელვა და დიდად მასიამოვნა მაღალი ჯილდოს — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მიღებამ. ეს შიმაჩნია უწინარეს ყოვლისა იმ მრავალრიცხოვანი მშვიდობისათვის მებრძოლთა დიდი დამსახურების აღიარებად, რომლებიც აქტიურად ხაქმიანობენ ჩემს სამშობლო იტალიაში. პირადად მე ხაპატიო პრემია ბევრ რამეს მავალებს როგორც მხატვარს და როგორც მშვიდობისათვის მებრძოლთა უზარმაზარი არმიის რიგით მებრძოლს, რომლებიც პლანეტის ყველა კუთხეში იცავენ მშვიდობის პირობებში ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის უფლებას.

მოხარული ვარ სიპირველმაისო დღესასწაულის დღეს მხურვალედ მივესალმო ყველა საბჭოთა ადამიანს. ვიმედოვნებ შეეხვედ მათ ამ შემოდგომაზე სსრ კავშირში ჩემი სურათების გამოფენის დროს“.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 1 მაისი. (საკდესის კორ.). „ბედნიერი ვარ, რომ მომანიჭეს უმაღლესი ჯილდო — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია — განუცხადა საკდესს კორესპონდენტს მშვიდობის დაცვის ბულგარეთისა და საერთაშორისო მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ცოლა დრაგოიჩევამ. — „კომუნისტისათვის არ არის ლენინის სახელზე წმინდა სახელი. ლენინის პრემიით დაჯილდოება უდიდესი პატივია.

მრავალი წელი მოვახმარე მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ჩემს ქვეყანაში სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის ბრძოლას და მიხარია, რომ ეს აღიარეს, მთელ ჩემს ძალ-ღონეს კვლავაც მოვახმარ მშვიდობისათვის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლას“.

ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ 3. ᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 1 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა გ. ბრანდტმა, ესენში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მიტინგზე გამოსვლისას, განაცხადა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამტკიცოს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულებანი.

„ჩვენ გონიერების, პოლიტიკური ლოგიკის, ფაქტების ძალის იმედი გვაქვს, თქვა, ბრანდტმა, რომლებიც ხელშეკრულებათა დადების შემდეგ წარმოიშვა, და, რა თქმა უნდა, ბუნდესტაგში უმრავლესობის იმედი თუნდაც უმნიშვნელო რომ იყოს.

კანცლერმა აღნიშნა, რომ ოპოზიციურ პარტიას — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, რომელმაც უარყო ხელშეკრულებანი, თავის მხრივ არ შემოუთავაზებია „მოწესრიგებისა და ურთიერთგაგების პოლიტიკის არავითარი საკუთარი ალტერნატივა“.

ის, ვისაც ომის დამთავრებიდან 27 წლის შემდეგ განუზრახავს დაამყაროს საქმე, რომელიც შეიძლება ახლა გადაიჭრას, ამასთან არ ძალუძს საკუთარი ალტერნატივა წამოაყენოს, პოლიტიკური თვალსაზრისით, ცდილობს თავი აარიდოს სინამდვილეს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო საკითხთა მოწესრიგების მოლაპარაკებაზე, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, ჩინეთის მხარის მიწვევით იმოგზაურა ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებსა და პროვინციებში.

დელეგაცია გაეცნო გუანჭოუს ბაზრობას, ცალკეული საშრეწველო საწარმოებისა და სახალხო კომუნების მუშაობას. იგი მიიღეს გუანდუნის, ჰუბეის, ჰენანის პროვინციების რევოლუციური კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა.

ქალაქ გუანჭოუში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს კანტონის 1927 წლის აჯანყების მონაწილეთა ხაფლავი და კანტონის აჯანყების შემდეგ გომინდანის რეაქციის მიერ მხეცურად წამებული საბჭოთა საკონსულოს მუშაკების ძეგლი. ქალაქ უჰანში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩინელი ხალხის ომში დაღუპული საბჭოთა მოხალისე მფრინავების ძეგლი.

საბჭოთა დელეგაციას მოგზაურობაში ახლდა ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ჩაი ჩენ-ვენი.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ...

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ რ. ᲚᲐᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲠᲩᲘᲜᲒᲖᲔᲚᲗᲐ სახლში საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა შეხვედრა მოუწყო კომპოზიტორ **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲚᲐᲚᲘᲫᲔᲡ**. თქმა არ უნდა, დარბაზმა ვერ დაიტია საღამოზე დასწრების მსურველნი. შეხვედრა დაიწყო კომპოზიტორის ცნობილი სიმღერით „საუდადელი ჯაბუკი“. იგი კინოეკრანიდან მოეფინა დარბაზს. შემდეგ რევაზ ლალიძეს მიესალმა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორის მოადგილე ა. დეკვიძე. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. ისაკაძის გამოსვლის შემდეგ, კომპოზიტორის შემოქმედებაზე ილაპარაკა მუსიკათმცოდნე მ. ახმეტელმა.

რევაზ ლალიძის მუსიკის ასეთი პოპულარობის საიდუმლო მის ღრმად ეროვნულობაშია, თქვა მომხსენებელმა. თამამად შეიძლება მას „კომპოზიტორი-პატრიოტი“ ვუწოდოთ. რა მიმართულებაც უნდა მოვიდეს მუსიკაში, ლალიძე საკუთარი მუსიკალური ხელწერის ერთგული იყო და ასევე დარჩება ყოველთვის. სიმფონიური სურათი „საჭიდაო“, სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, საოცრად პოპულარული „სიმღერა თბილისზე“ თუ სხვა მრავალი ნაწარმოები პირველ რიგში სწორედ ეროვნულია.

...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა შეასრულა ყასბების სცენა რევაზ ლალიძის ოპერეტიდან „კობლე“. კომპოზიტორს მიესალმნენ და სიგელები გადასცეს ამერიკავკასიის წითელრომოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს წარმომადგენელმა მაიორმა გ. ივანოვმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საშეფო მუშაობის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. კონსტანტინოვამ.

კომპოზიტორს მიესალმა პოეტი ვ. გორგანელი. შემდეგ კი სცენა ისევ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს დაეთმო. გამოვიდნენ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდი და ტრიო, პიონერთა სასახლის ვოკალური ჯგუფი, ტრამვაი-ტროლეიბუსების საგმართველოს ვოკალური ჯგუფი, ნორჩი მომღერალი ია გოდერძიშვილი, რკინიგზელთა სახლთან არსებული პანტომიმის ჯგუფი, მომღერალი ე. გეწაძე. კინოეკრანიდან მაყურებელმა მოისმინა სიმღერა მეგობრობაზე კინოფილმ „კეთილი ადამიანებიდან“.

ეს იყო ლიდი სიყვარულის, ჭეშმარიტი მუსიკის, ნამდვილი შემოქმედის თაყვანისცემის საღამო.

Თ. ᲛᲐᲠᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: კომპოზიტორს მიესალმება პიონერთა სასახლის ვოკალური ჯგუფი.

დ. ᲡᲐᲮᲔᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲒᲘᲒᲬᲔᲕᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ᲚᲘᲠᲨᲕᲔᲡᲐᲜᲘᲜᲕᲜᲐᲕᲘ თარიღის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი აცხადებს კონკურსს **მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურულ ნაწარმოებთა (პროზა, ლექსი) მხატვრულ კითხვაზე.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 30 წლის ასაკამდე ახალგაზრდებს, მათ შორის პროფესიონალებს.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია 5 პრემია: ერთი — პირველი, ორი — მეორე და ორი — მესამე პრემია.

კონკურსი მოეწყობა 15, 16, 17 ნოემბერს „მსახიობთა სახლში“. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადაა 1972 წლის 30 ოქტომბერი. მსურველებს **ყოველგვარი ცნობების მიღება შეუძლიათ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში (კიროვის ქ. № 11-ა).**

ᲒᲘᲒᲬᲔᲕᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ!

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲧᲝᲜᲘᲐᲜ კასპის ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა შეხვედრა მოუწყეს ქართული მხატვრული ფილმის „გიორგი საააკაძის“ დამდგმელ კოლექტივს, ფილმის გადაღების 30 წლისთავთან დაკავშირებით.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ცემენტის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ელ. შავლაშვილი, კინოფილმ „გიორგი საააკაძის“ ირგვლივ ილაპარაკა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ხორგუაშვილმა. სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მ. ჭიაურელი, ვ. ანჯაფარიძე, აკ. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ბაღაშვილი, რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი და სხვები.

დასასრულ ნაჩვენები იქნა კინოფილმი „გიორგი საააკაძე“.

მ. ᲣᲐᲑᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲝᲜᲘᲡ მმრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ (განყოფილების გამგე შ. ჯაფარიძე) მოამზადა და კულტურის სახლის სცენაზე უჩვენა კონცერტი — „მამულის ქებათა ქება და სიბრძნე სიცილისა“, რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი. კონცერტის პროგრამაში შედის ქართული სიმღერები და ცეკვები, სკეტჩები და მინიატიურები, სცენები სპექტაკლებიდან „მზიანი დამე“, „მე, მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, კონცერტის დამდგმელი და მხატვრული ხელმძღვანელია შ. ჯაფარიძე, ქორეოგრაფი ზ. კობერიძე, კონცერტმეისტერი ნ. გობეჯიშვილი.

ნ. ᲯᲣᲯᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ნ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ — ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲢᲐᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე სახელმოხვეჭილ სპორტსმენს მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. მათ შორის არის თბილისის სასპორტო საზოგადოება „ვანთიადის“ წარმომადგენელი, ცნობილი ძალოსანი დიტო შანიძე.

ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲙᲐᲢᲝᲕᲘᲪᲔᲨᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ კატოვიცეში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ისევე როგორც თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, საბჭოთა „კლასიკოსებმაც“ გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესის ტიტული დაიმსახურეს.

პირად შეჯიბრებაში წონითი კატეგორიის მიხედვით ოქროს მედლები მოიპოვეს: რუმენელმა რ. ბერჩანუმ, პოლონელმა ი. მიხალეკმა, ბულგარელებმა ხ. ტრაიკოვმა და გ. მარკოვმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ა. ეილერმა, ბენელეზმა, ბერძენმა ვ. გალაკტოპულოსმა, საბჭოთა მოჭიდავე ა. ნაზარენკომ, ბულგარელმა ხ. ნიკოლოვმა, ნ. იაკოვენკომ (სსრ კავშირი) და ბულგარელმა ა. ტომოვმა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲬᲣᲗᲘᲗᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს საბჭოთა კავშირში. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა სტუმრებს ჭონდათ ტალინში ესტონეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 70:65 (41:41). შეჯიბრების პირველ ნახევარში წინ იყვნენ საბჭოთა კალათბურთელები, მაგრამ უკანასკნელ წუთში ჯ. პენდერმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევრის მე-8 წუთისათვის ამერიკელები უკვე წინ იყვნენ 50:49, ამის შემდეგ კი მათ ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, — განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ბოლო წუთებში და გაიმარჯვეს.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

2 ᲓᲐ 3 ᲛᲐᲘᲡᲘ საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის ფარგლებში უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებისათვის.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: თბილისში — ადგილობრივი „დინამო“ და ბაქოს „ნეფტჩი“, ლენინგრადში — „ზენიტი“ და დონის როსტოვის სკა, დნეპროპეტროვსკში — „დნეპრი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“, მოსკოვში — დედაქალაქის „ტორპედო“ და „სპარტაკი“.

ხვალ კი მატჩები ექნებათ: კიევში — ადგილობრივ „დინამოსა“ და მინსკელ თანამოკალაჯეებს, ვოროშილოვგრადში — „ხარიასა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს, ერევანში — „არარატსა“ და ალმა-ატის „კაიარატს“, მოსკოვში — დედაქალაქის „დინამოსა“ და ლვოვის „კარპატს“.

□

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს ესტონეთის დედაქალაქში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი. ბედნიერი ალმოჩნდა შემდეგი ნომრები: 2 (ავტოსპორტი), 4 (მთამსვლელობა), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 18 (ქალაქობანა), 25 (თხილამურეობა — ტრამპლინი), 45 (ფეხბურთი).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ** ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დაამთავრა ტურნე საბჭოთა კავშირში. უკანასკნელი მატჩი სტუმრებს ჰქონდათ მინსკში სსრ კავშირის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 3:0 (15:2, 15:11, 15:9), მაისში საბჭოთა ფრენბურთელები სპასუხო ვიზიტით ეწვევიან იაპონიას.

● **ᲣᲠᲑᲜᲘᲠᲝᲨᲘ** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მარათონულ რბენაზე და სპორტულ სიარულში. წარმატებით გამოვიდა ლენინგრადელი ხ. გრიგორიევი, რომელმაც 50 კილომეტრი გაიარა 4 საათში, 3 წუთსა და 41 წამში. ეს მესამე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ შეიარაღებულ ძალთა სპორტსმენები.

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ** უკანასკნელი მატჩი ჰქონდათ იაპონელ ფრენბურთელ ვაჟებს სსრ კავშირის ნაკრებთან და დამარცხდნენ 2:3.

ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ... ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

ᲨᲔᲥᲕᲔᲚᲘᲡᲘ დროიდან არსებობს რწმენა, რომ მთვარე გავლენას ახდენს დედამიწის ამინდზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრს ყოველთვის უარყოფდა მეცნიერება, უკანასკნელ ხანებში ამ ჰიპოთეზი ისევ დაინტერესდნენ, როგორც უურნალი „გეოფიზიკესეე ისსლედოვანია“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში ამერიკის მეტეოსადგურების 25 წლის დაკვირვებათა საფუძველზე გააკეთეს სტატისტიკური ანალიზი. გაანგარიშებებმა გამოავლინა საინტერესო კანონზომიერება: ქარიშხლების მაქსიმალური რაოდენობა ხვდა მთვარის შემდეგ მეორე დღეღამეზე მოდის.

ამ მოვლენის არსი, მეცნიერთა აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ კოსმოსური სივრცეში შეღწეული დედამიწის გეომაგნიტური ბოლო უშუალოდ დაკავშირებულია ქარიშხალთა წარმოშობის მექანიზმთან. ხავსი მთვარიხ პერიოდში ამ „ველის“ გავლისას მთვარე თავისი გრავიტაციული ველით გადაადგილებს დედამიწის მაგნიტურ ძალოვან ხაზებს, შესაძლებლობას აძლევს კოსმოსურ ნაწილაკებს მიუახლოვდნენ პლანეტას და ზემოქმედება მოახდინონ მის ელექტრულ ველზე. ეს ხელს უწყობს ქარიშხლის წარმოშობას.

ᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲗᲘᲮᲖᲐᲕᲓᲐ

ᲗᲘᲠᲐᲜᲘᲗᲘ თვის პატიმრობა მიუსაჯეს დარაჯს საფრანგეთის ქალაქ ბორდოდან, მას შემდეგ, რაც პოლიციას ხელში ჩაუვარდა მის მიერ შეთხზული ბალადა, რომელშიც ხოტბას ასხამდა ბანკის გაძარცვის წარმატებით ჩატარებულ ოპერაციას.

დამნაშავის ბინის დამატებითი გაჩხრეკის დროს პოლიციამ იპოვნა მთელი დასტა ხელნაწერები, რომლებიც სავსე იყო ნაწყვეტებით იმავე ავტორის ახალი ეპოპეიდან. აქ დაწვრილებით იყო მოთხრობილი, თუ როგორ მოიპარეს საფოსტო მატარებლიდან, რომელსაც თვით ავტორი და მისი კოლეგები აცილებდნენ, 140 ათასი ფრანკი.

ᲚᲐᲜᲫᲚᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥ ათენის ტელეფონისტებმა ფოსტის მინისტრს მიართვეს არაჩვეულებრივი საჩუქარი — ტყავის ყდაში ჩასმული ლანძღვის წიგნი.

წიგნში ალფაბეტის წესით დალაგებულია სალანძღავი და უცენზურო სიტყვები, რომლებიც ტელეფონისტებმა აბონენტებისაგან ერთი წლის მანძილზე მოისმინეს. წიგნში შესულია 10 ათასი „ორიგინალური“ ლანგვისტური გამოთქმა. ეს საშუალება მოიგონეს ჯამწარებულმა ათენელმა ტელეფონისტებმა, რათა მინისტრისათვის ეთქვათ, თუ რა საშინელ პირობებში უხდებათ მუშაობა.

„ᲜᲐᲠᲙᲝᲖᲘ“ ᲗᲔᲕᲖᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠ ამერიკაში მცხოვრები ინდიელები იყენებენ. თევზის ჭერის საინტერესო მეთოდს. ისინი მდინარეში ყრიან სპეციალური ფესვების ნაჭრებს. რამდენიმე წუთის შემდეგ თევზი, რომელიც გადაყლაპავს ამ ნაჭრებს, იძინებს და მდინარის ზედაპირზე ამოტივტივდება.

ᲕᲔᲨᲐᲰᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

ᲓᲘᲓ ხილრმეზე მყოფი ვეშაპის გულისცემა 10 ცხენისძალიანი მოტორის სიმძლავრეს უდრის. მისი ოსმენა შეიძლება მაშინ, როცა ვეშაპი პირს აღებს თევზების გადასაყლაპავად. როცა პირი დახურული აქვს, ვეშაპის ჭორნაინი გარსი მთლიანად აყრუებს გულისცემის ხმას.

ᲙᲝᲪᲜᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ რავენის სამხატვრო გალერეაში დიდხანს იყო გამოფენილი შუა საუკუნეების მეომრის ქანდაკება. ამას წინათ გალერეის დირექცია იძულებული გახდა ქანდაკება მოეთავსებინა ცალკე განყოფილებაში, და მიეჩინა მისთვის დაცვა. სამეო ის არის, რომ ლეგენდის თანახმად ძველი რაინდის სახეზე კოცნას ბედნიერება მოაქვს. ათასობით ქალის კოცნამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ხელოვნების ნაწარმოები შესამჩნევად დაზიანდა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

Თ. ᲤᲐᲚᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (მე-5 აბონ. მე-6 წარმოდგენა); **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვეჩერი ბივეა; **რუსთაველის** სახელობის მეორე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი; **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ურიელ აკოსტა; **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან.

ᲑᲐᲜᲜᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ, 5 ᲛᲐᲘᲡᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

2 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.15 — მოსწავლეთათვის. „გაცოცხლებული სათამაშოები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.40 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — კინონარკვევი, 11.40 — „ჯადოსნური ეკრანი“, 12.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 12.30 — „მოსკოვის საშღვარგარეთელი სტუმრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — კინონარკვევი, 13.30—„30 წუთი კინომოყვარულთათ